



**კანონპროექტის განმარტებითი ბარათის ფინანსური გავლენის
შეფასების მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები და
მეთოდოლოგიური მითითებები**

ფინანსური შედეგების შეფასებისა და საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობის განყოფილება

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

შინაარსი

ლოკუმენტის მიზანი	3
მოქმედების სფერო	3
ტერმინთა განმარტება	3
საკანონმდებლო პროცესის კავშირი საბიუჯეტო პროცესთან	8
ფინანსური გავლენის შეფასების კომპონენტები	8
პასუხისმგებლობის სფერო.....	9
კანონპროექტის ავტორის/ინიციატორის როლი	9
პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის როლი	9
ფინანსური გავლენის შეფასების მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები	10
ფინანსური გავლენის შეფასების მიზანი	10
ფინანსური გავლენის შეფასების ხარისხობრივი მახასიათებლები	10
სარეკომენდაციო პრაქტიკული მითითებები	12
კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი).....	15
კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუსცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო (ბ.ა).....	15
კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე (ბ.ბ)	17
.....	25
სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით (ბ.დ)	26
კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა (ბ.ე)	27
კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი (ბ.ვ).....	30
დანართი: ინფორმაცია წყაროების შესახებ	32

დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვროს განმარტებით ბარათში კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასების თაობაზე წარსადგენი ინფორმაციის მომზადების ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგიური მითითებები, რათა აღნიშნულმა ინფორმაციამ კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური გავლენის შეფასების შესახებ სათანადო სურათი ასახოს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დოკუმენტი განსაზღვრავს ფინანსური გავლენის შეფასების მომზადების ზოგად მითითებებსა და საბაზისო მოთხოვნებს „საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად წარსადგენი ინფორმაციის თითოეული კომპონენტისთვის.

მოქმედების სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი განსაზღვრავს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტებს და ადგენს, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, პარლამენტის კომიტეტს, საპარლამენტო ფრაქციას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 25 000 ამომრჩეველს;

მიზანშეწონილია, რომ წინამდებარე დოკუმენტის გამოყენება მოხდეს ყველა იმ საკანონმდებლო ინიციატივის ფინანსური გავლენის შეფასებისთვის, რომელიც მომზადებული და წარდგენილია საკანონმდებლო ინიციატივის/ინიციატორ(ებ)ის მიერ კანონპროექტის განმარტებითი ბარათის ფინანსური გავლენის შეფასების სახით;

წინამდებარე დოკუმენტი არ ვრცელდება: სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებით ბარათზე; საერთაშორისო ხელშეკრულებების განმარტებით ბარათზე.

ტერმინთა განმარტება

დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტი – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი – ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ორგანოების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე იურიდიული პირი, რომელიც:

- შექმნილია/დაფუძნებულია შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- შექმნილია/დაფუძნებულია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი;
- შექმნილია/დაფუძნებულია მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული წესით, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც:

- შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ;
- შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ;
- შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ ან/და ექვემდებარება მის/მათ კონტროლს ან/და მის/მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის კონტროლს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბიუჯეტი – მოცემული იურიდიული პირის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ყველა წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან

გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამტკიცებული ბიუჯეტი – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

წლიური ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესაბამისი საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ბიუჯეტი.

ასიგნება – საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება.

მხარტავი დაწესებულება – სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის – პროგრამული კლასიფიკაციის პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის – მუნიციპალიტეტი.

საბიუჯეტო ორგანიზაცია – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული ან/და მის მიმართ ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია.

პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარტავი დაწესებულება.

ქვეპროგრამა – მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი – ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური გავლენის შეფასება – ფინანსური ინფორმაცია, რომელიც დაფუძნებულია დაშვებებზე კანონპროექტის გავლენით მომავალში მოსახდენი მოვლენებისა და შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციაზე/მხარჯავ დაწესებულებაზე/პირზე შესაძლო ფინანსური შედეგების შესახებ.

დაშვება – კანონპროექტის ავტორის/ინიციატორის მიერ ფინანსური გავლენის შეფასების სახით წარსადგენი ინფორმაციის მომზადების დროს მოკლევადიან (ერთ წლამდე პერიოდი) და საშუალოვადიან პერიოდებში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი) მოსალოდნელი ფინანსური გავლენის შეფასებისათვის სავარაუდო ჩარჩო-პირობების დადგენა, რომელიც ეყრდნობა ემპირიულ მტკიცებულებებს, თეორიულ ვარაუდს, ექსპერტულ შეფასებას და შესაბამისი წარსული ინფორმაციის ან/და სხვა მსგავსი პრაქტიკის გათვალისწინებას.

უზუსტობა – შეცდომა/გამოტოვება კანონპროექტის ავტორის/ინიციატორის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ინფორმაციაში.

არსებითობა – ინფორმაცია მიიჩნევა არსებითად, თუ მისმა გამოტოვებამ ან არაზუსტად წარდგენამ მოსალოდნელია გავლენა მოახდინოს, ფინანსური გავლენის შეფასების სახით წარდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ინფორმაციის მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე, მისი მიზნების გათვალისწინებით.

ადეკვატური განმარტებები – განმარტებები, რომლებიც ინფორმაციის მომხმარებლისათვის/გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის იძლევა საკმარის ინფორმაციას დაშვებებისა და ფინანსური ინფორმაციის შესახებ იმისათვის, რომ აღნიშნული ინფორმაცია სათანადოდ იქნას გამოყენებული

მისი მიზნებისათვის - გადაწყვეტილების მიღებისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობისათვის.

ემპირიული მტკიცებულება - ინფორმაცია, რომელიც მიიღება დაკვირვებით ან ექსპერიმენტებით.

საკანონმდებლო პროცესის კავშირი საბიუჯეტო პროცესთან

როგორც საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის „სახელმწიფო ბიუჯეტი“ მე-4 პუნქტის, ისე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-20 მუხლის „სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საბიუჯეტო პარამეტრებთან“ 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის „კანონპროექტის განხილვის ზოგადი წესები“ მე-6 პუნქტის თანახმად, „კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, საქართველოს პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტი – მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში ან საქართველოს მთავრობის თანხმობით.“

ფინანსური გავლენის შეფასების კომპონენტები

კანონპროექტის განმარტებითი ბარათი „საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უნდა მოიცავდეს ფინანსური გავლენის შეფასებას საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი) შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

ბ.ა.) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

ბ.ბ.) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

ბ.ე.) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

ბ.ვ.) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი.

აღნიშნული დოკუმენტი ზემოაღნიშნული კომპონენტების მიხედვით განსაზღვრავს მხოლოდ საბაზისო მოთხოვნებს.

პასუხისმგებლობის სფერო

კანონპროექტის ავტორის/ინიციატორის როლი

განმარტებითი ბარათი და შესაბამისად მისი ფინანსური გავლენის შეფასების ნაწილი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მომზადდეს. ფინანსური გავლენის სათანადოდ შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ ფინანსური გავლენის შეფასება განხორციელდეს იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს ცოდნა ეკონომიკისა და ფინანსების მიმართულებით.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის როლი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის „კანონპროექტის განსახილველად მიღება და მომზადება საკომიტეტო მოსმენისთვის“ მე-5 პუნქტის თანახმად: „პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი ამოწმებს წარდგენილი კანონპროექტის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“–„ვ“ ქვეპუნქტებთან და მე-2–მე-4 პუნქტებთან შესაბამისობას, ხოლო პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი – „ნორმატიული აქტების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობას. თუ წარდგენილი კანონპროექტი არ შეესაბამება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ზემოაღნიშნული პუნქტების მოთხოვნებს, პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოტივირებული დასკვნების საფუძველზე კანონპროექტი ხარვეზის გამოსასწორებლად დაუბრუნოს მის ინიციატორს.“

ფინანსური გავლენის შეფასების მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები

ფინანსური გავლენის შეფასების მიზანი

ფინანსური გავლენის შეფასების სახით წარდგენილი ინფორმაციის მიზანი უნდა იყოს საკანონმდებლო ინიციატივის მოსალოდნელი ფინანსური გავლენის სათანადო შეფასების ასახვა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პარლამენტის მიერ კანონპროექტის თაობაზე ინფორმირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშვალდებულების გაზრდა.

ფინანსური გავლენის შეფასების ხარისხობრივი მახასიათებლები

ფინანსური გავლენის შეფასების სახით წარდგენილი ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები - ეს არის ის მახასიათებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარდგენილი ინფორმაციის სარგებლიანობას მის მიზნებთან, კერძოდ, გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობასთან მიმართებაში. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის ასეთ ხარისხობრივ მახასიათებლებად მიიჩნევა შესაბამისობა, სათანადო წარდგენა, აღქმადობა, შესადარისობა და თანმიმდევრულობა, გამომწმენადობა (გერიფიკაციის შესაძლებლობა), არსებითობა, განაშთვა.

შესაბამისობა

ფინანსური გავლენის შეფასებაში წარდგენილი ინფორმაცია მიიჩნევა შესაბამისად (რელევანტურად), თუ ის ემსახურება თავის მიზანს, კერძოდ, უზრუნველყოფს საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას.

სათანადო წარდგენა

ფინანსური გავლენის შეფასებაში ასახული ინფორმაცია ჩაითვლება სათანადოდ, თუ ის არის სრული, ნეიტრალური და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. სისრულე ეხება ფინანსურ დასაბუთებაში წარდგენილ ყველა დაშვებას და შეფასებას. ნეიტრალურობა გულისხმობს მიუკერძოებლობას დაშვებების/შეფასებების შერჩევისა და წარდგენის დროს და გამორიცხავს გამიზნულად ისეთი ინფორმაციის წარდგენას, რომელიც გულისხმობს კანონპროექტის გავლენით წინასწარ განსაზღვრული სასურველი ფინანსური შედეგის მიღებას. არსებითი უზუსტობების არარსებობა არ გულისხმობს ყველა ასპექტში აბსოლუტურ სიზუსტეს, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ ფინანსური დასაბუთება არ უნდა შეიცავდეს ისეთ შეცდომებსა და გამოტოვებებს, რომლებსაც შეიძლება ცალ-ცალკე ან ერთიანად გავლენა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

აღქმადობა

ფინანსურ გავლენის შეფასებაში წარდგენილი ინფორმაცია აღქმადია (გასაგებია), როდესაც ინფორმაციის მომხმარებლებს ეძლევათ მის მნიშვნელობაში ჩაწვდომისა და მისი საფუძვლიანად გაგების საშუალება. აღქმადობა მიიღწევა მაშინ, როდესაც ფინანსური გავლენის შესახებ წარდგენილი ინფორმაცია წარდგენილია ნათლად და გარკვევით. შესადარისობა (იხ. ქვემოთ) ასევე უწყობს ხელს აღქმადობას.

შესადარისობა და თანმიმდევრულობა

შესადარისობა ინფორმაციის ის მახასიათებელია, რომელიც ინფორმაციის მომხმარებლებს აძლევს საშუალებას, გამოავლინონ მსგავსებები და განსხვავებები მოწოდებული ფინანსური ინფორმაციის ორ ან მეტ ნაწილს შორის. თანმიმდევრულობა გულისხმობს გამოყენებული დაშვებებისადმი/შეფასებებისადმი თანმიმდევრულ მიდგომას კომპონენტებისა და დროითი პერიოდის მიხედვით. შესადარისობა მიზანია, ხოლო თანმიმდევრულობა - მიზნის მიღწევის საშუალება.

გადამოწმებადობა (ვერიფიკაციის შესაძლებლობა)

გადამოწმებადობა ინფორმაციის მომხმარებლებს აძლევს საშუალებას, დარწმუნდნენ, რომ ფინანსური გავლენის შეფასების სახით წარდგენილი ინფორმაცია ნამდვილად შეესაბამება დასახულ მიზნებს, კერძოდ, ხელს

უწყობს საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ანგარიშვალდებულებას. ამ მახასიათებლის საშუალებით, სხვადასხვა ინფორმირებული და დამოუკიდებელი დამკვირვებელი აღწევს საერთო კონსენსუსს და არა აუცილებლად სრულ თანხმობას იმასთან დაკავშირებით, რომ:

- წარდგენილი ინფორმაცია შეესაბამება დასახულ მიზანს;
- ინფორმაციის შეფასების/წარდგენის მეთოდი სათანადოდ, არსებითი უზუსტობების გარეშეა გამოყენებული. გადამოწმებადობა ეხება, მათ შორის, დაშვებების საფუძვლიანობისა და შეფასებებში გამოყენებული ფაქტობრივი მონაცემების არსებობის გადამოწმებას.

არსებითობა

ინფორმაცია მიიჩნევა არსებითად, თუ მისი გამოტოვება ან უზუსტობა გავლენას ახდენს ფინანსური გავლენის შეფასების სახით წარდგენილი ინფორმაციის მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე. ფინანსური გავლენის შეფასებაში თითოეული არსებითი კომპონენტისა და ქვეკომპონენტის წარდგენა უნდა მოხდეს განცალკევებულად.

განაშთვა (ფინანსური გავლენის წმინდა ფინანსური შედეგით წარდგენა)

მოსალოდნელი ფინანსური ფინანსური გავლენის შეფასების სახით წარდგენილი ინფორმაციის კომპონენტების წარდგენა არ უნდა მოხდეს მათი განაშთვით, რაც გულისხმობს ერთი კომპონენტის წარდგენას მეორის ამორიცხვით. მაგალითად, შემოსულობებზე და გადასახდელებზე გავლენის წარდგენისას თითოეულ კომპონენტზე გავლენა ასახულ უნდა იქნას განცალკევებით ფინანსური გავლენის შეფასების შესაბამის კომპონენტში და არა წმინდა ფინანსური შედეგის სახით.

სარეკომენდაციო პრაქტიკული მითითებები

ფინანსური გავლენის შეფასებისას საკანონმდებლო ინიციატივის ბიუჯეტზე ზეგავლენა უნდა შეფასდეს საბაზისო/უმოქმედობის სცენართან მიმართებით. კერძოდ, ფინანსური გავლენის შეფასება ხდება კანონპროექტის ინიცირების თარიღისათვის არსებულ საბაზისო მდგომარეობასა და კანონპროექტის მიღების შედეგად მოსალოდნელ მდგომარეობას შორის, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის გათვალისწინებით.

ზეგავლენა შეიძლება იყოს:

-პირდაპირი, რაც გულისხმობს ისეთ შედეგს, რომელიც უშუალოდ გამოწვეულია კონკრეტული ქმედების შედეგად. პირდაპირი ზეგავლენის ანალიზისას ფასდება პირდაპირი გავლენა, მათ შორის, ადმინისტრირებასთან დაკავშირებული გავლენები;

-არაპირდაპირი, რაც გულისხმობს ქმედების ისეთ ირიბ შედეგს, რომელიც გამოიწვია ქმედების პირდაპირი შედეგების ზემოქმედებამ.

ფინანსური გავლენის შეფასებისას უნდა მოხდეს პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენების იდენტიფიცირება და დახასიათება ზეგავლენის მასშტაბისა და მოსალოდნელი შედეგის (კოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური) მითითებით.

ყველა სახის ზეგავლენისას გამოყენებული უნდა იყოს თვისობრივი ან/და რაოდენობრივი მეთოდები.

საკანონმდებლო ინიციატივის საკანონმდებლო პაკეტის სახით წარმოდგენის შემთხვევაში, განმარტებითი ბარათის ფინანსური შედეგების შეფასება უნდა განხორციელდეს პაკეტში შემავალი თითოეული კანონპროექტისთვის.

ფინანსური გავლენის შეფასება ხდება საშუალოვადიანი პერიოდისათვის (4 წლიანი პერიოდი, კანონპროექტის ამოქმედების ვადის გათვალისწინებით).

ფინანსური გავლენის შეფასება ეყრდნობა კონსერვატულ მიდგომას, რაც მიზნად ისახავს, წარდგენილ იქნას ფინანსური შედეგის კონსერვატული სურათი - აღნიშნული გულისხმობს შემოსულობების ზრდის მინიმალური და კლების მაქსიმალური ოდენობის, ხოლო გადასახდელების ზრდის მაქსიმალური და კლების მინიმალური ოდენობის შეფასებას.

როდესაც კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გამოსახვა ან/და მონეტიზება (ფულად ერთეულში გამოსახვა) ვერ ხერხდება, აუცილებელია, აღიწეროს ფინანსური გავლენის ბუნება და ვადები, ასევე, ამ გავლენის მასშტაბის განმსაზღვრელი ფაქტორები. ამასთან, დასაბუთებულ უნდა იქნას, თუ რატომ ვერ ხერხდება გავლენის რაოდენობრივ მაჩვენებლებში გამოსახვა ან/და მონეტიზება.

თუ კანონპროექტი ითვალისწინებს სტიმულების ცვლილებას იმ პირებისთვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, მაშინ ფინანსური გავლენის შეფასებისას შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას ამ სტიმულების გავლენა, თუ გავლენის შეფასება ეყრდნობა უკვე არსებულ გამოცდილებას საქართველოში ან საერთაშორისო გამოცდილების კვლევას. წინააღმდეგ შემთხვევაში სტიმულების გავლენა არ იქნება გაითვალისწინებული ფინანსური შედეგების შეფასებისას და მოხდება მხოლოდ იმის მითითება, რომ შეიძლება სტიმულების ცვლილებამ განაპირობოს გარკვეული მიმართულებით ფინანსური გავლენის ცვლილება, თუმცა რაოდენობრივი შეფასება ვერ ხორციელდება.

ფინანსური გავლენის შეფასების სახით წარდგენილი ინფორმაცია თითოეული კომპონენტისათვის უნდა მოიცავდეს:

- ფინანსური გავლენის შეფასებას;
- გამოყენებული ძირითადი დაშვებების აღწერას თხრობითი ფორმით. ფინანსური გავლენის შეფასებისას გამოყენებული ნებისმიერი ეკონომიკური მონაცემი ან პროგნოზი უახლესი საჭაროდ გამოქვეყნებული შეფასებების შესაბამისი უნდა იყოს. სხვა გამოყენებული დაშვებები (როგორც არის მაგ. ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ისარგებლებენ კონკრეტული შეღავათით ან დასაბეგრ შემოსავლებთან დაკავშირებული შეფასებები) საუკეთესო პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით უნდა იქნეს შემუშავებული. მნიშვნელოვანია დაშვებების თანმიმდევრულობა და გამჭვირვალობა;
- დაშვებებთან დაკავშირებულ ძირითად რისკებსა და ცდომილების ალბათობას;
- გამოყენებული მონაცემებისა და ინფორმაციის წყაროებს;
- გავლენის შეფასებისას გამოყენებული ოფიციალური დოკუმენტის რეკვიზიტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ფინანსური გავლენის შეფასებისას გამოყენებული ანალიტიკური მეთოდის/ების აღწერას;
- შეფასებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის/გაურკვევლობის (uncertainty) განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორებს: ნებისმიერი შეფასება ხასიათდება გარკვეული დონის განუსაზღვრელობით იმის შესახებ, თუ რამდენად შესაბამისი აღმოჩნდება განხორციელებული

შეფასება კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ მიღებულ რეალურ შედეგებთან. განუსაზღვრელობის დონე დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორც არის: შეფასების განსახორციელებლად ხელმისაწვდომი მონაცემების ხარისხი, ანალიზის დროს გამოყენებული დაშვებების რაოდენობა და სისწორე, პოლიტიკის ცვლილების სიდიდე და სხვა. ამიტომ, სასურველია, შეფასების ავტორმა მიუთითოს ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ შეფასების საიმედოობაზე.

ფინანსური გავლენის შეფასების მომზადებისას, მისი მოცულობა და დეტალურობის სიღრმის განსაზღვრა დამოკიდებულია საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებული საკითხის მნიშვნელობასა და მასშტაბზე, აგრეთვე იმ პირთა და მხარეთა წრეზე, რომელზეც საკითხი ზეგავლენას ახდენს.

თუ კანონპროექტი არ არის ფინანსური გავლენის მქონე, ეს ინფორმაცია უნდა იქნეს მითითებული განმარტებითი ბარათის ფინანსური გავლენის შეფასების ნაწილის შესაბამის ველებში.

კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)

ვინაიდან, საქართველოში, საშუალოვადიანი პერიოდი მოიცავს 4 წელს, ფინანსური გავლენის შეფასება უნდა მოხდეს კანონპროექტის ამოქმედების წელსა და შემდგომი 3 წლისათვის.

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო (ბ.ა)

საშუალოვადიან პერიოდში კანონპროექტის მიღებით გამოწვეული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაციაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ბიუჯეტი/ბიუჯეტები¹, ასევე დაფინანსების სხვა წყარო. საჭიროა, მიეთითოს ინფორმაცია იმ დონორი ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის ან/და სხვა მესამე მხარის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებმაც შესაძლოა მონაწილეობა მიიღონ მოცემული

¹ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ბიუჯეტები - სახელმწიფო ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი, ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი

კანონპროექტით გათვალისწინებული ქმედებების/ღონისძიებების დაფინანსებაში.

იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის მიღებით არ არის საჭირო აუცილებელი ხარჯების გამოყოფა და არ არის საჭირო შესაბამისი დაფინანსება, აღნიშნული ასევე უნდა მიეთითოს განმარტებით ბარათში.

იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის მიღებით საჭიროა აუცილებელი ხარჯების გამოყოფა, მაგრამ ეს განხორციელდება ცალკეული უწყებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და არ საჭიროებს დამატებით ასიგნებების გამოყოფას, დაფინანსების წყარო მაინც უნდა იქნას მითითებული.

„ბ.ა“ ქვეპუნქტი

მაგალითი #1:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ დამატებით ახალი საგანმანათლებლო მიმართულების დაფინანსებას, დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი, ვინაიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტები სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მაგალითი #2:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ გარემოსდაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას, დაფინანსების წყარო იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ვინაიდან მუნიციპალიტეტმა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი შემოსავლებიდან უნდა მოახდინოს თანხების მიმართვა.

მაგალითი #3:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის X სამინისტროსთვის ახალი უფლებამოსილების მინიჭებას, დაფინანსების წყარო იქნება ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტი, ვინაიდან ა/რ X სამინისტრო ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მაგალითი #4:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს X სსიპ-ითვის ახალი ფუნქციების განსაზღვრას, დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე სსიპ-ის საკუთარი შემოსავლები, ვინაიდან სსიპ-ის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავალი.

კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე (ბ.ბ)

აღნიშნულ ნაწილში უნდა აისახოს საშუალოვადიან პერიოდში კანონპროექტით გათვალისწინებული ქმედებების გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, მათ შორის, შემოსულობების კონკრეტულ კომპონენტზე (შემოსავლებზე, არაფინანსური აქტივების კლებაზე, ფინანსური აქტივების კლებაზე, გარდა ვალდებულებების ზრდისა²) და გავლენის მიმართულებებზე (ზრდა, შემცირება).

გარდა ამისა, საჭიროა შეფასდეს გავლენა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების (სსიპ, ა(ა)იპ) საბიუჯეტო და საკუთარ შემოსავლებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თუ კანონპროექტის მიღება არ იწვევს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ეს ინფორმაცია ასევე უნდა მიეთითოს განმარტებით ბარათში.

საშუალოვადიან პერიოდში ფინანსური გავლენის შეფასებისას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი სარეკომენდაციო პრაქტიკული მითითებები:

- გაანგარიშებისას გამოიყენება გასული პერიოდის (მაგ. წინა წლების) შესაბამისი სტატისტიკა კონკრეტული სახის შემოსულობის ან/და გადამხდელთა რაოდენობის შესახებ;
 - გასული წლებისათვის შესაბამისი შემოსულობის (გადასახადის/მოსაკრებლის) გადამხდელთა სტატისტიკის არსებობის შემთხვევაში, თუ კანონპროექტით გათვალისწინებულია ერთ გადამხდელზე გადასახდელი თანხის ოდენობის ცვლილება, მაშინ ბაზად გამოიყენება გადამხდელების ოდენობის წლიური მაჩვენებელი და წლიური გავლენის შეფასებისთვის გამოიყენება ერთეულზე გადასახადის/მოსაკრებლის კორექტირებაზე/ცვლილებაზე გადამხდელთა ოდენობის მარტივი ნამრავლი.

² ვალდებულებების ზრდის ნაწილი განიხილება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტში “სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით”

- თუ კონკრეტული სახის შემოსულობების გადამხდელთა რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ იწარმოება, მაშინ ბაზად გამოიყენება შესაბამისი შემოსულობების მაჩვენებელი.
- თუ შესაბამისი სტატისტიკა არ იწარმოება, მაშინ გაანგარიშების საფუძვლად გამოიყენება შესაბამისი მთლიანი შემოსულობების მაჩვენებელი ან/და გადამხდელთა რაოდენობა;
- ფინანსური გავლენის სიდიდის გაანგარიშება წარმოდგენილი უნდა იყოს რაოდენობრივი შეფასებით, ნაცვლად ისეთი ჩანაწერების გამოყენებისა, როგორცაა „უმნიშვნელო/მცირე/არაარსებითი“ და ა.შ.
- იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის შინაარსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვერ ხერხდება ბიუჯეტის შემოსულობებზე გავლენის რაოდენობრივი შეფასება, ნაცვლად ისეთი ჩანაწერების გამოყენებისა, როგორცაა არის „წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია“, ან „წინასწარი პროგნოზირება შეუძლებელია“, უნდა მოხდეს გავლენის თვისობრივი აღწერა;
- შემოსულობებზე გავლენის შეფასებისას გასათვალისწინებელია ასევე შესაძლო გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზეც. მაგ. თუ კონკრეტული შემოსულობა (მაგალითისათვის გადასახადი) საჭიროებს დამატებით ადმინისტრირებას, ეს გამოიწვევს ხარჯვითი ნაწილის ზრდასაც, რაც, თავის მხრივ, უნდა აისახოს “ბ.გ.” პუნქტში ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში.

შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის პროცენტული განაწილების შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისი დანართი.

ზემოაღნიშნულის გარდა, ფინანსური გავლენის შეფასებისას, კანონპროექტის შინაარსის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა გაანგარიშებები. შესაბამის გაანგარიშებებში უნდა ჩანდეს გამოყენებული ძირითადი დაშვებები, გამოყენებული მონაცემები და წყაროები.

ბიუჯეტის შემოსულობებზე წლიური გავლენის შეფასებისას შესაძლებელია გამოიყენებულ იქნას ბაზად მიჩნეული მაჩვენებლის ბოლო სამი წლის

საშუალო ზრდის ტემპი, რომლის ექსტრაპოლაცია³ ხდება წლიურად საშუალოვადიანი პერიოდისათვის. არასრულ წელზე გაანგარიშება ხდება პროპორციულად წლის განმავლობაში, თუ არ არსებობს თვიური მარჯვენებლები ბოლო სამი წლისათვის. თუ ყოველთვიური მონაცემები არსებობს, მაშინ გამოიყენება გასული წლების საშუალო წილობრივი მარჯვენებელი.

გასათვალისწინებელია, რომ თუ შემოსულობების ცალკეული სახეების ცვლილება (მაგალითისათვის, გადასახადებთან დაკავშირებული ცვლილებები) საჭიროებს შესაბამის ადმინისტრირებას, ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯების ზრდის/კლების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეთითოს განმარტებითი ბარათის „ბ.გ“ პუნქტში.

³ ახალი მონაცემების მიღება არსებულ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად

„ბ.ბ“ ქვეპუნქტი

მაგალითი #1:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღებას, გავლენა დადგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის მიმართულებით, ვინაიდან ადგილობრივი მოსაკრებელი მიიმართება მუნიციპალურ ბიუჯეტში.

მაგალითი #2:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებას, კანონპროექტს გავლენა ექნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე შემცირების მიმართულებით, ვინაიდან ქონების გადასახადი ადგილობრივი გადასახადია და სრულად მიიმართება ადგილობრივ ბიუჯეტში.

მაგალითი #3:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის ჯარიმის დაწესებას, კანონპროექტს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის მიმართულებით, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან ჯარიმები ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მაგალითი #4:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირებას, კანონპროექტს გავლენა ექნება როგორც სახელმწიფო, ასევე ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე შემცირების მიმართულებით, ვინაიდან საშემოსავლო გადასახადი მიიმართება როგორც სახელმწიფო, ასევე ა/რ რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე (ბ.ბ)

აღნიშნულ ნაწილში უნდა აისახოს საშუალოვადიან პერიოდში კანონპროექტით გათვალისწინებული ქმედებების გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, მათ შორის, კონკრეტულ კომპონენტზე (ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა, ვალდებულებების კლება) და გავლენის მიმართულებებზე (ზრდა, შემცირება).

გარდა ამისა, საჭიროა შეფასდეს გავლენა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების (სსიპ, ა(ა)იპ.) გადასახდელებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაშიც, თუ კანონპროექტის მიღება არ იწვევს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ეს ინფორმაცია უნდა აისახოს განმარტებით ბარათში. შესაბამისი ინფორმაცია ასახული უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხები არ იწვევს დამატებით ხარჯებს და შესაბამისი აქტივობების დაფინანსება განხორციელდება გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

საშუალოვადიან პერიოდში ფინანსური გავლენის შეფასებისას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი სარეკომენდაციო პრაქტიკული მითითება:

- გაანგარიშებისას გამოიყენება გასული პერიოდის (მაგ. წინა წლების) შესაბამისი სტატისტიკა კონკრეტული სახის გადასახდელის მუხლის/პროგრამის/ქვე-პროგრამის/ღონისძიების ან/და ბენეფიციარის რაოდენობის შესახებ;
- შესაბამისი სტატისტიკის არარსებობის შემთხვევაში, გაანგარიშების საფუძვლად გამოიყენება მთლიანი შესაბამისი გადასახდელის მუხლის/პროგრამის/ქვე-პროგრამის/ღონისძიების მაჩვენებელი ან/და ბენეფიციართა რაოდენობა;
- ფინანსური გავლენის სიდიდის გაანგარიშება წარმოდგენილ უნდა იქნას რაოდენობრივი შეფასებით, ნაცვლად ისეთი ჩანაწერების გამოყენებისა, როგორცაა „უმნიშვნელო/მცირე/არაარსებითი“ და ა.შ.
- თუ კანონპროექტის შინაარსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვერ ხერხდება ბიუჯეტის გადასახდელებზე გავლენის რაოდენობრივი შეფასება, ნაცვლად ისეთი ჩანაწერების გამოყენებისა, როგორც არის „წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია“ ან „წინასწარი პროგნოზირება შეუძლებელია“, უნდა მოხდეს გავლენის თვისობრივი აღწერა.
- გადასახდელებზე გავლენის შეფასებისას გასათვალისწინებელია ასევე შესაძლო გავლენა შემოსულობების ნაწილზეც. მაგ. თუ იზრდება შრომის ანაზღაურება, ეს გამოიწვევს არა მარტო ხარჯების ზრდას, არამედ საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზის ზრდასაც, რაც თავის მხრივ უნდა აისახოს შემოსულობებზე გავლენის ნაწილში და სხვა.

თუ კანონპროექტი ითვალისწინებს კონკრეტული პროგრამის ბენეფიციართა წრის გაფართოებას/ან ერთ ბენეფიციარზე გადასახდელის ზრდას, ბიუჯეტის

გადასახდელებზე ფინანსური გავლენის შეფასებისას ბაზად შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკრეტული პროგრამით ან ქვე-პროგრამით გათვალისწინებული გადასახდელებით მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) ოდენობა ან კონკრეტული მუხლით გადასახდელების ოდენობა, კერძოდ:

თუ არსებობს მოცემული პროგრამით ან ქვე-პროგრამით გათვალისწინებული გადასახდელებით მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) სტატისტიკა გასული წლებისათვის და კანონპროექტით გათვალისწინებულია ერთ ბენეფიციარზე გადასახდელი თანხის ოდენობის ცვლილება, მაშინ ბაზად გამოიყენება შესაბამისი მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) ოდენობის წლიური მაჩვენებელი და წლიური გავლენის შეფასებისთვის გამოიყენება ერთეულის კორექტირებაზე მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) ოდენობის (რომელიც, თავის მხრივ, გაიანგარიშება გასული 3 წლის ზრდის საშუალო ტემპის მეშვეობით) მარტივი ნამრავლი.

თუ კონკრეტული სახის გადასახდელებით მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ იწარმოება, ბაზად გამოიყენება შესაბამისი გადასახდელების მაჩვენებელი.

თუ არ არსებობს შესაბამისი გადასახდელით მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) სტატისტიკა და აგრეთვე, შეუძლებელია კონკრეტული მუხლით გადასახდელების ოდენობის იდენტიფიცირება, მაშინ ბაზად გამოიყენება დისაგრეგირების (ჩაშლის) მაქსიმალურად შესაძლებელი დონე.

შესაბამისი კონკრეტული მუხლის გადასახდელისთვის შესაბამისი ოდენობა და წილი განისაზღვრება პირობითი დაშვების საფუძველზე, გამოყენებული დაშვების მიზანშეწონილობის მითითებით (მაგ. კონკრეტული პროგრამის გადასახდელების 10%).

თუ კანონპროექტი ითვალისწინებს შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებისათვის დამატებითი ფუნქციის მინიჭებას ან ფუნქციის სხვა დაწესებულებისათვის გადაცემას, რაც შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებისათვის სავარაუდოდ, გამოიწვევს მართვასა და რეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების ცვლილებას, მაშინ საჭიროა, ცალკე მოხდეს ე.წ. ადმინისტრაციულ ხარჯებზე გავლენის შეფასების მითითება. ეს უკანასკნელი ეყრდნობა მსგავსი/ან შესადარისი ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულის გამოცდილებას შესაბამისი რესურსების (მათ,

შორის ადამიანური, მატერიალური რესურსების) საჭიროების კუთხით იმავე მხარტავი დაწესებულების/ან საჭიროებისამებრ, სხვა მხარტავი დაწესებულების ფარგლებში.

თუ კანონპროექტი ითვალისწინებს, როგორც პროგრამის ბენეფიციართა წრის ან ერთ ბენეფიციარზე გადასახდელის ცვლილებას, ასევე მართვასა და რეგულირებასთან დაკავშირებული ხარტების ცვლილებას, ორივე კომპონენტი მიეთითება

დამოუკიდებლად. ბიუტეტის გადასახდელებზე წლიური გავლენის შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბაზად მიჩნეული მარტვენბლის ბოლო სამი წლის

საშუალო ზრდის ტემპი, რომლის ექსტრაპოლაცია⁴ ხდება წლიურად საშუალოვადიანი პერიოდისათვის. არასრულ წელზე გაანგარიშება ხდება პროპორციულად წლის განმავლობაში, თუ არ არსებობს თვიური მარტვენბლები ბოლო სამი წლისათვის. თუ ყოველთვიური მონაცემები არსებობს, მაშინ გამოიყენება

გასული წლების საშუალო წილობრივი მარტვენბელი.

⁴ ახალი მონაცემების მიღება არსებულ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად

„ბ.გ“ ქვეპუნქტი

მაგალითი #1:

▪ თუ კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ დამატებით ახალი საგანმანათლებლო მიმართულების დაფინანსებას, კანონპროექტს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ზრდის მიმართულებით, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამები ფინანსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან.

მაგალითი #2:

▪ თუ კანონპროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ გარემოსდაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას, კანონპროექტს გავლენა ექნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ზრდის მიმართულებით, ვინაიდან მუნიციპალიტეტმა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი შემოსავლებიდან უნდა მოახდინოს თანხების მიმართვა.

მაგალითი #3:

▪ თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის X სამინისტროსთვის ახალი უფლებამოსილების მინიჭებას, კანონპროექტს გავლენა ექნება ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ზრდის მიმართულებით, ვინაიდან ა/რ X სამინისტრო ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მაგალითი #4:

▪ თუ კანონპროექტი ითვალისწინებს X სსიპ-ითვის ახალი ფუნქციების განსაზღვრას, კანონპროექტს გავლენა ექნება სსიპ-ის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

მაგალითი #5:

▪ თუ კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ X სამინისტროში დასაქმებული ყველა თანამშრომლისთვის სპეციალური სახელმწიფო წოდების მინიჭებას, კანონპროექტს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ზრდის მიმართულებით, კერძოდ საჭირო გახდება შესაბამისი X სამინისტროსთვის დამატებითი ასიგნებების გამოყოფა.

მაგალითი #6:

▪ თუ კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი X სამინისტროს გაუქმებას, კანონპროექტს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე შემცირების მიმართულებით.

მაგალითი #7:

▪ თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ცალკეული კატეგორიის ბენეფიციარებისთვის სოციალური გასაცემლების ოდენობის ზრდას, კანონპროექტს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ზრდის მიმართულებით, კერძოდ საჭირო გახდება შესაბამისი X სამინისტროსთვის ასიგნებების გამოყოფა.

მაგალითი #8:

• თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის ჯარიმის დაწესებას, შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირებისთვის X უწყებას დაჭირდება დამატებითი ხარჯები დამატებითი პერსონალის, პერსონალის გადამზადების, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი აღჭურვილობის შესაძენად, შესაბამისად, კანონპროექტს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ზრდის მიმართულებით, კერძოდ, საჭირო გახდება შესაბამისი X სამინისტროსთვის ასიგნებების გამოყოფა.

მაგალითი #9:

• თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი სახის სამართალდარღვევაზე სასჯელის სახით პატიმრობას, კანონპროექტს გავლენა ექნება შესაბამისი X სამინისტროს (რომლის დაქვემდებარებაშიც შედის პენიტენციური დაწესებულება) ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ზრდის მიმართულებით, რაც დაკავშირებული იქნება საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პირის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შენახვის ხარჯებთან.

სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით (ბ.დ)

განმარტებით ბარათში უნდა აისახოს საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები,⁵ კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო თუ საგარეო) მითითებით.

აღნიშნული ვალდებულებები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს:

- წინა პერიოდში გაფორმებულ სასესხო შეთანხმებასთან, რომლის გადმორიცხვა დამოკიდებულია საკანონმდებლო აქტის/აქტების მიღებასთან;
- სესხებში ცვლილებასთან, რომელიც შემდგომში გავლენას იქონიებს მთავრობის ვალზე;
- ახალი ფინანსური ვალდებულებების კუთხით ნებისმიერი სახის დაზუსტებასთან, მათ შორის, როგორცაა: კრედიტორის დასახელება, სესხის ოდენობა, ხანგრძლივობა, საპროცენტო განაკვეთი, ჩამორიცხული სესხის თანხა (ჩამორიცხვის პერიოდისათვის), საშელავათო პერიოდი, გადავადების პერიოდი და ა.შ.

აღნიშნული არ მოიაზრებს კანონპროექტით ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილის ზრდის ან შემოსულობების შემცირებით შესაძლო არაპირდაპირ გავლენას ბიუჯეტის დეფიციტზე და სახელმწიფოს ფინანსურ ვალდებულებებზე, როგორც ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროზე.

აღნიშნული მოიაზრებს კანონპროექტით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მოცულობას.

⁵ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში მოცემული განმარტების თანახმად „სახელმწიფო ფინანსური ვალდებულება არის საქართველოს სუვერენული და აბსოლუტური ვალდებულებები ძირითადი თანხების დაფარვისათვის და დარიცხული პროცენტების გადახდისათვის, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მთელი აქტივებით“

დამატებითი ინფორმაციის სახით კანონპროექტის ავტორის მიერ, შესაძლოა, მოცემულ იქნას ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც შეეხება აღნიშნული ახალი პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების კუთხით ნებისმიერი სახის დაზუსტებას, მათ შორის, კრედიტორის დასახელება, სასესხო პერიოდი, საშელავათო პერიოდი, ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის შესახებ და ა.შ.

„ბ.დ“ ქვეპუნქტი

მაგალითი #1:

კანონპროექტიდან გამომდინარე სახელმწიფომ უნდა აიღოს ახალი საშინაო ან საგარეო ვალი.

კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა (ბ.ე)

განმარტებით ბარათში უნდა აისახოს საშუალოვადიან პერიოდში კანონპროექტის პირდაპირი ან/და არაპირდაპირი გავლენა ფიზიკურ/იურიდიულ პირებზე შესაბამისი მოსალოდნელი ფინანსური შედეგების მითითებით.

საშუალოვადიან პერიოდში ფინანსური გავლენის შეფასებისას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი სარეკომენდაციო პრაქტიკული მითითებები:

- აღნიშნულ ნაწილში მიეთითება, გამოიწვევს თუ არა კანონპროექტით განსაზღვრული ქმედებები პირდაპირ ან/და არაპირდაპირ ზეგავლენას იმ პირებზე, რომლებიც წარმოადგენენ მხარეს აღნიშნული ინიციატივით განსაზღვრული აქტივობების ფარგლებში. გავლენის ობიექტს/მხარეს შესაძლოა წარმოადგენდნენ ფიზიკური პირები, ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომელთა ინტერესსა და საქმიანობაზე ინტერვენციამ შეიძლება იქონიოს შესაბამისი ფინანსური გავლენა. ფინანსური გავლენის სიდიდის გაანგარიშება წარმოდგენილ უნდა იქნას

რაოდენობრივი შეფასებით, ნაცვლად ისეთი ჩანაწერების გამოყენებისა, როგორცაა „უმნიშვნელო/მცირე/არაარსებითი“ და ა.შ.

- თუ კანონპროექტის შინაარსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვერ ხერხდება კონკრეტულ ფიზიკურ/იურიდიულ პირებზე გავლენის რაოდენობრივი შეფასება, ნაცვლად ისეთი ჩანაწერებისა, როგორცაა „წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია“ ან „წინასწარი პროგნოზირება შეუძლებელია“, უნდა მიეთითოს გავლენის თვისობრივი აღწერა.
- თუ გავლენის ობიექტი არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა გარკვეული ჯგუფი (მაგ. საოჯახო მეურნეობა/ინდუსტრია/დარგი/ქვესექტორი და ა.შ.), მაშინ მიზანშეწონილია მითითებულ იქნას კანონპროექტით გათვალისწინებული ქმედებების პირდაპირი ან/და არაპირდაპირი გავლენა ჯგუფის ერთეული სუბიექტის შემოსავლებზე/დანახარჯებზე, მაგ:
 - სოციალური დახმარებებიდან/შელავათებიდან გამომდინარე ფინანსური შედეგები;
 - საგადასახადო ვალდებულებებიდან გამომდინარე ფინანსური შედეგები;
 - ფიზიკური პირის მიერ საჯარო მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგები;
 - სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ჯარიმებიდან/საურავებიდან გამომდინარე ფინანსური შედეგები;
 - ლიცენზირების/რეგისტრირების პროცედურიდან გამომდინარე ფინანსური შედეგები;
 - აღრიცხვის/ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული ფინანსური შედეგები;
 - დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების/დასაქმებულთა ოდენობის ან ანაზღაურების ზრდიდან გამომდინარე ფინანსური შედეგები;
 - ფინანსური შედეგები, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან/არსებული ინფრასტრუქტურის განახლებასთან;

- წარმოების პროცესთან/მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგები;
- სხვა სახის ფინანსური შედეგები.

შენიშვნა: პირებში აგრეთვე მოიაზრებიან ის სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც არ წარმოადგენენ საბიუჯეტო ორგანიზაციებს/ მხარჯავ დაწესებულებებს და პირდაპირ არ ფინანსდებიან საბიუჯეტო სახსრებით, მაგალითად: საქართველოს ეროვნული ბანკი, მარეგულირებელი კომისიები, და ა.შ.

თუ არსებობს იმ მიზნობრივი ჯგუფის შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება და კანონპროექტი ითვალისწინებს ამ ჯგუფის ერთეული სუბიექტისათვის ხარჯების/სარგებლის პირდაპირ ცვლილებას, რომლის მონეტიზებაც შესაძლებელია, მაშინ აუცილებელია მითითებულ იქნას შესაბამისი ინფორმაცია და გავლენის ოდენობა შესაბამის ჯგუფზე.

ამასთან, საჭიროა განისაზღვროს მიზნობრივი ჯგუფის სიდიდე, ანუ ის თუ რამდენად დიდია იმ ჯგუფის მოცულობა, ვისზეც მოცემულ ინიციატივას ექნება პირდაპირი ფინანსური გავლენა, მაგალითად, კონკრეტულ დარგში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა, კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში საოჯახო მეურნეობათა რაოდენობა, კონკრეტული სოციალური დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ.

პირებზე ფინანსური გავლენის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის მნიშვნელოვანი პირდაპირი ქცევითი რეაგირების ეფექტი, რაც შეიძლება გამოიწვიოს ინიციატივამ/პოლიტიკის ცვლილებამ. აღნიშნული ეფექტის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სხვადასხვა წყაროდან. ეს შეიძლება იყოს მსგავსი პოლიტიკის ცვლილებების გამოცდილება, რეაგირების ეფექტების ან ფასების ელასტიურობის შესახებ აკადემიური და სხვა კვლევები და სხვა.ზემოხსენებული არ გულისხმობს უფრო ფართო ეკონომიკური ეფექტების შეფასებას, რომლებიც წარმოიქმნება პოლიტიკის ცვლილების შემდგომი ეკონომიკური უკუკავშირის შედეგად, როგორც არის მაგალითად, ახალი პოლიტიკის დანერგვით გამოწვეული ხელფასების ან დასაქმების დონის ცვლილება. ასეთი ეფექტების შეფასება ჩვეულებრივ არ ხდება სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის არის ეფექტების სიდიდისა და დროულობის შეფასებასთან დაკავშირებული სირთულე/განუსაზღვრელობა.

ამასთან, მოსალოდნელია, რომ ასეთი ეფექტების დადგომას უფრო მეტი დრო სჭირდება და შეიძლება არც მოხდეს წინასწარი შეფასებების დროის მონაკვეთში.

„ბ.ე“ ქვეპუნქტი

მაგალითი #1:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის ჯარიმის დაწესებას, კანონპროექტს უარყოფითი ფინანსური გავლენა ექნება იმ პირებზე, რომლებიც ჩაიდენენ ახალი სახის სამართალდარღვევას, კერძოდ, მათ მოუწევთ შესაბამისი ჯარიმის გადახდა.

მაგალითი #2:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს X პროდუქციაზე რეკლამის აკრძალვას, კანონპროექტს უარყოფითი ფინანსური გავლენა ექნება რეკლამის დამკვეთზე, მწარმოებელსა და გამავრცელებელზე, კერძოდ, მათ შეუმცირდებათ შემოსავლები.

მაგალითი #3:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ დამატებით ახალი საგანმანათლებლო მიმართულების დაფინანსებას, კანონპროექტს დადებითი ფინანსური გავლენა ექნება იმ პირებზე, რომლებიც ისწავლიან შესაბამის საგანმანათლებლო მიმართულებით, ვინაიდან მათ არ მოუწევთ სასწავლო გრანტის მოცულობით სწავლის საფასურის გადახდა.

მაგალითი #4:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ცალკეული კატეგორიის ბენეფიციარებისთვის სოციალური გასაცემლების ოდენობის ზრდას, კანონპროექტს დადებითი ფინანსური გავლენა ექნება შესაბამის პირებზე, ვინაიდან ისინი მიიღებენ დამატებით სოციალურ გასაცემელს ფულადი სახით.

კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი (ბ.ჰ)

განმარტებით ბარათში უნდა აისახოს საშუალოვადიან პერიოდში კანონპროექტით გათვალისწინებული ქმედებებით ხდება თუ არა შესაბამისი დონის (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტში გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობისა და მისი დადგენის

პრინციპების ცვლილება/განსაზღვრა. ოდენობის განსაზღვრის პრინციპმა უნდა აღწეროს და ახსნას, თუ როგორ მოხდა გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის დადგენა და თუ რატომ არის გადასახდელი (ფულადი შენატანი) აღნიშნული ოდენობით განსაზღვრული.

„ბ.ვ“ ქვეპუნქტი

მაგალითი #1:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღებას, შესაბამისად კანონპროექტი ადგენს მოსაკრებლის ოდენობას და ოდენობის განსაზღვრის პრინციპს.

მაგალითი #2:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის ჯარიმის დაწესებას, შესაბამისად კანონპროექტი ადგენს ჯარიმის, როგორც სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობას და ოდენობის განსაზღვრის პრინციპს.

მაგალითი #3:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს X ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის დაწესებული ჯარიმის გაორმაგებას, შესაბამისად კანონპროექტი ადგენს/ცვლის ჯარიმის, როგორც სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის განსაზღვრის პრინციპს.

მაგალითი #4:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს X ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის დაწესებული ჯარიმის გაუქმებას, შესაბამისად კანონპროექტი ცვლის ჯარიმის, როგორც სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის განსაზღვრის პრინციპს.

მაგალითი #5:

- თუ კანონპროექტი ითვალისწინებს საჯარიმო სანქციის შემოღებას სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების შემადგენლობის დადგენილი ნორმის დარღვევისთვის, იმისათვის, რომ საჯარიმო თანხას ჰქონდეს სამართალდარღვევის შემაკავებელი ეფექტი, ის უნდა აღემატებოდეს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების საფასურს.

დანართი: ინფორმაცია წყაროების შესახებ

ფინანსური გავლენის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციისა და მონაცემების მოძიების მიზნით კანონპროექტის ავტორმა/ინიციატორმა შესაძლოა გამოიყენოს შემდეგი წყაროები:

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - <https://www.matsne.gov.ge/>

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - <https://www.mof.ge/>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო - <https://www.geostat.ge/>

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა - <http://treasury.ge/>

წყაროები კონკრეტული თემების მიხედვით:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი -
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=51>

საქართველოს საგადასახადო კოდექსი -
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=182>

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ - <https://matsne.gov.ge/document/view/1167887?publication=0>

საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი თანდართული მასალებით - <https://www.mof.ge/GovBudget>

საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშები - <https://www.mof.ge/GovBudget>

საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური ანგარიშები - <https://treasury.ge/ka/StateBudgetReports>

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის (სახელმწიფო ბიუჯეტი, ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტი) შემოსულობები (კონსოლიდაციის გარეშე) - <https://treasury.ge/ka/revenues>

ეკონომიკური საქმიანობის სახეები -
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/125/klasifikatsiebi>

გარდა ამისა, ფინანსური გავლენის შეფასების მიზნით, კანონპროექტის ავტორს/ინიციატორს შეუძლია წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გამოითხოვოს ყველა არაკონფიდენციალური სახის ინფორმაცია და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან.